



მცირე წლოვანთათვის

№ III

თ ბ ბ რ ვ ა ლ ი

1906



ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამოცე. ქართ. აზნახგობის
1906

შინაარსი:

1. ცხენობანა. — ლექსი შ. შვი- შვილისა	3	5. მამა და შვილი. — თარგმანი ანეტასი	16
2. მდიდარი და ღარიბი. — იკუვი ალ. შირიანაშვილისა	5	6. შერკულესის ამბავი. — გერმა- ნულიდან	21
3. ციცუნია. — ზღაპარა მამანსიბი- რიაკისა. — თარგმანი დ. დეკანო- ზიშვილისა	7	7. ხერხი სჯობიან ლონესა. — X — სს.	24
4. გამარჯვება. — თარგმანი ნილს მაკსვარაისისა	12	8. ძაღლის მოსაზრება. — თეთფ კანდელაკისა	26
		9. გასართობი. — ა) თევზაობა, ბ) გ. მოცანები, გ) ხალხური ლექსი	27

ამ წლის პირველ იანვრიდან „ნაკადული“ გამოდის
ახალის რედაქციით.

ხელის მოწერა შეიძლება:

რედაქციაში და „წერა-კითხვის. გ. საზოგადოებას“ კანცელარიაში. და მ. ი. დემურის
სახლში ალექს. № 5. ქალაქს გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ევანიასთან
და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: კოლხიდის საზოგადოებაში, კნ. ბარბარე
წერეთლისას და ანნა დადუშვილთან; **ბათუმში**: მარიამ ელიაევასთან, კნ. სოფიო
ნაკაშიძესთან და იასე რაბუელთან; **სუბუში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო
თაფაგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ხეთისავარაშვილთან; **გორში**: თამარ და
ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: იაკობ ფანცხაევასთან და კნ
ვლადიმერ სვიმონისძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში**: ირაკლი დეკანოზოვთან; **ხა-
ჩხუტი**: ყარაიმან ჩხეიძესთან; **ერევანში**: მარიამ ფაველენიშვილთან.

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელი წლის
ნომრები იყიდება **სამ** მანეთად



ც ს ე ნ ო ბ ა ნ ა



ადამსდარან უძაწვილები
გამსძარ ჯოხის ცსენებზედა,
საჯირითოდ გამოსულან

ბეჭობსა და სერებზედა.

სოკს ბცვია, სოკი კიდევ
ტანტალა და უქუდოა;
რბებიც კი ისეთი ჭეხვთ,
რომ სულეველა უკუდოა.

წინ მიუქრის მათ ბელადი
აძეი, მხარ-ბეჭიანი,
სსვებზე უფრო მოჯირითე
მაგრამ ცოტა ეჭვიანი.

მას არ უნდა, რომა ჭეხვდეს
სსვა ბადალი ცსენოსანი
და იძახის: აბა მოძევეს
ვინც ბიჭია წვეროსანი!

იძახის და მიაქროლებს
რამს ფრუტუნით ჭენებითა;
უკან მიხდევს მას ლაშქარი
უადვირო ცსენებითა.



217


აკერ ბელებს დაქწია
სხვა მსედარი ყოულობინა,
ქერანს უკრა გვერდში დესი
და გაჭკურცხლა თითონ წინა.


მაგრამ გახურებულ ტაიქს
თავი ვეღარ დაუჭირობ,
სრამ გადაველო და მსედარი
გადმოვარდა თავდაუირობ.



ამბობს: ცხენმა მიღაღატა,
მაგრამ რა დროს ფიცლიბა,
ამოგუნგლულ მსედრის თავზე
ხარხარი და სიცლიბა.

შ. მღვიმელი.





მდიდარი და ღარიბი

იკავი.

მდიდარი გუდა-აკიდებული სოფლელი ქალაქისკენ მიდიოდა. ერთს ბატი ეჭირა ხელში და გასასუიდად მიჰყავდა, მეორეს ქათამი. კუში ბევრი ილაპარაკეს ამ მთისასუდ, იმ მთისასუდ და, ბოლოს, სიძიდრესუდ ჩამოაგდეს ბასი. ერთი ამბობდა — მე შენსუდ მდიდარი ვარო, მეორე უმტკიცებდა — არა, მე ვარ შენსუდ მდიდარიო.

ბატის ჰატრონი ცხარობდა:

— კაცო, ჯერ მარტო ეს ვიფიქროთ: მე ბასარში ბატი მიძეავს და, სულ ცოტა, მანეთი უნდა გავაგდებინო; შენ-კი ქათამში ბევრი-ბევრი ორი აბასი აიღო. თუ შენ, ორი აბასის, ჰატრონს, თავი მდიდრად მიგანჩია, მამ მანეთის ჰატრონი უფრო მდიდარი არ ვიქნებო?

ამ კამათის დროს წინ ქალაქიდან მოძავალი მკუხარი შემოეყარათ.

— გამარჯობა თქვენო! — მიესალმა სოფლელებს მკუხარი, — რა ამბავია, რასუდ მოგსულიათ ლაპარაკი?

ამათაც უამბეს: ასე და ასეა ჩვენი საქმე და სთხოვეს — ესლა შენ გავგასამართლე, ჩვენში რომელია მართალი და რომელია მტუბანიო.

— რამდენი დღის საგმელი მიგაქვთო? კითხა მკ საჯარმა.

— ერთი დღისაო, მიუგეს იმათ.

— აბა თქვენი გულები მინჯენეთ— გავიგო, თქვენში ვინ რამდონი ჰური მიაქვსო.

თეატრული
გრაფიკული



იმათაც მოისხნეს გულები: ქათმის ჰატრი. აღმოუჩნდა ერთი ჰური, ბატისას სუთი.

— ნუკი გამიწურებით, და თქვენი საქმის გადაწყვეტა თქვენსავე გულებს შესძლებიათ, — დანიწყო მკ საჯარმა, — ცხადია, რომ ცოტას მჭამელი ბევრს შეინახავს და ბევრისა ცოტას; ამიტომ თქვენ ორში ღარიბი შენა ხარ — მიუბრუნდა ბატის ჰატრონს — რადგან გუდამი სუთი ჰური აღმოგინდა და მდიდარი უოფილა ეს — მიუთითა ქათმის ჰატრონსე — რადგან დღესი მარტო ერთი ჰური უკმარებიაო.

აღ. შირიანაშვილი.





ცინზინა

(ზღაპარი მამინ-სიბირიაცისა)



წორედ განსაკვირველი იყო! მავრამ ამასევე განსაკვირველი კიდევ ის იყო, რომ ეს ამბავი ყოველ დღე ხდებოდა. როგორც კი მზარეული შესდგამდა ქურასევე ქვაბით რძეს და ფაფას, მაშინვე დაიწეებოდა. ვერ ხუძედ იდგებოდნენ, მერე კი ლაპარაკს მოეკებოდნენ:

— მე რძე ვარ...

— მე კიდევ—ფაფა...

ვერ სძადაბლა ლაპარაკობდნენ, მერე კი უთაფებდნენ და ისეთს კამათს გააბამდნენ, რომ ვერ ავიწერთ.

— მე რძე ვარ!

— მე კიდევ—ფაფა!...

ფაფას, რომელიც ქვაბქოთანით იდგა სოლმე, თინისავე სახურავს აფარებდნენ და ისიც ბებერსავით დაიწეებდა ბუტბუტს. ექმდე კი, რომ გაცნარდებოდა, ბუტბებს იკეთებდა, სკდებოდა და იტყოდა სოლმე:

— მე მანც ფაფა ვარ... ფუქ!

ეს კვეხნა რძეს არ მოსწონდა. რაღაც ფაფა და დიდი რამ კი გონია თავის თავი! რძე ბრასდებოდა, აიწევდა ძაღლა და ქვაბოდან გადმოსვლას სცდილობდა. მზარეულს რომ ერთი წამით თვალის მოეშორებინა, ის-ის იყო: მთელს ქურასევე გადმოიქცევოდა.

— ოჲ, როგორ გამიჭირვებ საქმე ამ რქემ!—ნივოდ დადგა-
კაცი.—მიბრუნება არ შეიძლება, სულ მთლად გადმოიქცევა...

— რა ხედი ბრალა, რომ ასეთი ფიცსი სასწაულის ვარ?...
თავს იმართლებდა რქე.—მეც არ მინდა გავჯავრდე, მაგრამ ეს
სასწაული ფაფა არ მასვენებს და ცინ-ამბრა დღეს იკვების:
მე ფაფა ვარ, ფაფა ვარ, ფაფა ვარ... მე კიდევ ბრაზი მომდის.

სწორად იქამდის მივიდოდა საქმე, რომ ფაფა ქვაბიდან გა-
დმოხტებოდა, დაიწყო და ქურახედ ცეკვას და თან უვიროდა:

— მე ფაფა ვარ! ფაფა ვარ, ფაფა... შშ!

მართალია იშვიათად ხდებოდა ეს ამბავი, მაგრამ დედაკაცი
მუდამ ჯავრობდა:

— ახლა შენი ჯერი იყო... სწორედ გასაკვირველია, რომ
ქვაბში ვერ დამდგარა!...

II

მზარეული სწორად გამოდიოდა მოთმინებიდან. საკმაოდ
ბევრი მიწეუბიჭ ქვინდა... ერთი მეტად ლამაზი ციცუნია ჰქონდა
და ძალიანაც უყვარდა. დიდიდანვე თითის წვერებსედა დასდევდა
უკან და ისე გულსაკლავად კნავოდა, რომ ქვასაც კი აატო-
რებდა.

— რა გაუძამდარი რამ არის, დასწევვლოს ღმერთმა!—ამბობდა
გაკვირვებული მზარეული და კატას ფეხს წაჭკრავდა სოლმე.—
გუშინ ჯერ მარტო დვიძლი რამდენი გაჭამე?

— ის გუშინ იყო,—უპასუხებდა ციცუნია,—გუშინ რომ სადი-
ლი სჭამე, დღეს აღარ გინდა?... მიაუუ!...

— თაგვები დაიჭირე და სჭამე.

— ადვილი სათქმელია, ქალბატონო! აბა ერთი შენა სცადე
თაგვების დაჭერა.—თავს იმართლებდა ციცუნია.—მანც კი ძა-
ლიან ვცდილობ... ამ ერთი კვირის წინად შენ დაიჭირე თაგვი,

თუ მე? მაშ ვინ დამაფსაჰნა ცხვირი? თაკვები დაიჭირეო! ადვილი ჰგონია!

ციცუნია რომ გაძლებოდა, მიუჯდებოდა ბუსარს და ტკბილად სთვლემდა.

— ხედავთ, როგორ გაძლია! — იტყობდა სოლომე შხარეული. — ეს ზარმაცე თელემასაც კი მოჰყვება... მაგრამ თუ სორცის სუნი ენა...

— ბერი ხომ არა ვარ, კეთაუვათ, რომ სორციც არა ვჭამო? — წაიგნავლებდა ციცუნია და ცაღს თვალს გაასვლდა. — ღვთის წინაშე, თევზსაც კარგად ვიანსლები... გემრიელი საჭმელია. ვერც კი ვიტყვი, რომელი სჯობია, სორცი თუ თევზი? ზრდილობის დასაცველად მე ერთსაც ვიანსლები და მეორესაც... მე რომ აღმიძინა ვიყო, ან მეთევზედ გამოვიდოდი ან კიდევ საყაჰნოს გაგესწნიდი: რაც ქვეყანაზედ კატებია, უველას გავაძლიობდი, და მეც გამაძლიარი ვიქნებოდი...

გამაძლიარს ციცუნიას მსიარულეობაც უვეარდა. მიუცუცქდებოდა ფანჯრის თავზედ დაკიდულს გალიას, რომელშიც ჯაფარა იჯდა, და ებახსებოდა.

— კარგად ვიცნობ, შე ცრუბენტელავ! — ჩამოსძახებდა ზემოდან ჯაფარა. — რას მიუერებ?...

— თუ კი შენი გაცნობა მინდა?

— ვიცი, როგორც გამიცნობ... ის ვინ იყო, ამას წინად ბეღურა რომ გამოხრა? აი, შე საძაგელო!...

— საძაგელი რად ვიქნები? უველასაც ვუვეარვარ... ჩემთან მოდი, ზღაპარი ვიამბო.

— კაი დაგეპართოს, კარვს ზღაპარს შენ მეტყვი! შე გხედავდი, როგორ უამბე ზღაპარი შემწვარს ვარიანს, რომელიც სამხარეულოდან მოიტაცე... კარგი ოსტატი ხარ!

— როგორც გუნებოს! შე კი შენთვის გუუნებოდი. რაც შეგება ვარიანს, მართალია, შევანრაშუნე, მაგრამ ხომ აღარა-

ფრინთვის გამოდგებოდა. რილას მანისი იყო? შესაჭმელად იყო მომზადებული და შეც შევჭამე.



III

ციცუნია უოველ დილით ანთებულ ქურასთან დასკუპდებოდა და მოთმინებით უკდებდა ეურს რძის და ფაფის ჩსუბს. ვერა-და-ვერ გაეგო, რაზედ ჩსუბობდნენ, და მსოლოდ თვალებს ანამსამებდა.

— მე რძე ვარ.

— მე ფაფა ვარ! ფაფა ვარ... შქმ...

— არ მესმის, რაზედ ჩსუბობენ?—ამბობდა ციცუნია.—მე რომ ვსთქვა: მე კატა ვარ, მე კატა ვარ... ვისმე ეწეინება?... არა, არ მესმის... უნდა კი გამოვტყდე, რომ ფაფას რძე მიჩრყინია, შეტადრე მამინ, როდესაც ჯავრობს.

ერთსელ რძეს და ფაფას დიდი ჩსუბი მოუვიდათ; იმდენი ინსუბეს, რომ ქურაზედ გადმოიქცენ, საშინელი ნახშირის სუნი დადგა. შხარეული საჩქაროდ მოვარდა.

— რა უბედურებაა! მიბრუნება არ შეიძლება...—დაივირა დედაკაცმა, გადმოდგა რძე და ფაფა ქურიდან და სანოვაცის საუიღლად წავიდა. ციცუნიათ ამით ისარგებლა; მიუცუცქდა რძეს, შეუბერა და სთქვა:

— ნუ ჯავრობ, რძევე, თავს შემოგველე!...

რძე მალე დამშვიდდა. ციცუნიათ გარს შემოუარა, ერთი კიდევ შეუბერა, გადაიწკიბა უღვაშები და ტუბილათ მიძართა მოჩსუბრებს:

— აი რა, ბატონებო... მოგესწენებათ, რომ ჩსუბი ვერა-ფერი სასიამოვნოა. ამომიჩიეთ მსაჯულად და ესლავეკავარ-ჩევ თქვენ საქმეს...

კუნჭულში მჯდომმა სარის ჭიამ წაიფსუკუნა:—კარგს მსაჯულობასაც გაგიწევთ!... ჭა-ჭა-ჭა! ეს ეშმაკი, ესა, რას არ

მოიკონებს!...—რძეს და ფაფას კი უხაროდა, რომ მათს ჩხუბს ბოლო მოეღებოდა, თითონაც არ იცოდნენ, რა სუელ ქონდათ ჩხუბი.

— კარგი, კარგი! მე ვეველაფერს გაუბრძვე!—წაიკრუტუნა ციცუნინამ.—სამართლიანად გადავწყვეტავ საქმეს... აბა, რძით დაგიწყოთ.



რძემდენჯერმე შემოუარა რძეს, გასინჯა თითით, ცხელი სომ არ არისო, შეუბერა შემოდან და სლანჯა დაწყო.

— არიქა! ხალხსო!—დაიუვირა ხარის ჭინამ.—ძთლად ამოსლანა რძე, მერე კი ვეველაფერს სხვას დააბრძლებენ.

მსარეულმა მოსვლისთანავე რძის ქვაბში ჩაისედა, მაგრამ ცარიელი დასედა. ციცუნია კი ბუსართან ტებილად სთვლემდა, ვითომც აქ არაფერიყო.

— მე არ დასაცალებელი, შენა!—დაუტატანა დედაკაცმა და უური აუწია,—ძითხრი, ვინ შეჭამა რძე?

ძალიანაც ეშწარა ციცუნიას უურის აწევა, მაგრამ ესტიბარს არ იტესდა და თავს ისე აჩვენებდა, ვითომც არაფერი ვიცო. როდესაც დედაკაცმა გარედ გაისროლა, ციცუნია შეიბერტვა, ენით აწეწილი ბალანი გაისწორა, კუდი აბზიკა და წაიკრუტუნა:

— მე რომ იძის ადგილას ვიყო, დილიდან სლამომდის კატებს რძეს ვასმევდი. ჩემი ცუმა კი არა მწუინს იძისგან, რადგანაც იძას ამდენი არც ესძის და არც გაუკება.

დომ. დეკანოზიშვილი





გამარჯობა

(თარგმანი)



ენ გამიტყუე ფაიფურის სწილო, შენა,
შე საძაგელო! შურიანო! დამცადე, რა
კიუო! - შეჭევირა ვასომ და დააბრიალა
დიდრონი ცის-ფერი თვალები.

— ვასო, როგორ არა გცხვენინა,
უთხრა გულ-ნატყენმა მთლად აწითლე-
ბულმა ელენემ, — ეგ-ეგ...

— შენ... შენ... შენ!.. — უევიროდა ვასო. — შე ჩემი თვალით
დავინახე!

— ვასო...

ვასო გასწიტდა, ეურები ანთო, ლოყები, შუბლი. ცოფსა
ჭურბდა, თითონაც არ გავეებოდა, რას ხადიოდა. რაღაცა წამო-
იუვირა, წამოსტა, ეცა ელენეს და დაუწყო თეთრ ფუნთუშა
ხელზედ ჩმეტა.

ელენემ მწარედ შეჭკივლა ტკივილისაგან და ცრემლი გადმო-
ვარა. ვასო საკრივოდ იყო მომხადებული. კარგად იცოდა,
რომ ელენე იმაზედ უმფროსიც იყო და ღონიერიც, მაგრამ
ეურადღებას არ აქცევდა ამ კარემოებას, ოღონდ კი შემოეკრა,
ტკივილი ეგრძნობინებინა და დაეუვირებინა თავისი და. სწმეკტად

და სულ-განაბული ელოდა, რომ ელენეც დაჰკრამდა, ან სიტყვას/ შეუბრუნებდა, ან კიდევ დასაბესლებლად წაუვიდოდა... უფრო შევაპკობო, ფიქრობდა ვასო—ისე გავლანძღავ, ისე, რომ...

მაგრამ ელენე ადგილიდგან არ დაიძრა. მიუბრუნდა ვასოს, გაუწოდა ხელები და უთხრა:

— აჰა, მიჩქმიტე, მიჩქმიტე! თან კი ცრემლს ძლივს იძა- კრებდა.

ელენეს საქციელი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვასო გაოცდა, დაამტვრა დაბრიალებული თვალები, მერმე ფერი ეცვალა, ჭირის ოფლი დასსხა და შერცხვენილმა თავი დაღუნა. ელენე კი უფრო და უფრო უახლოვდებოდა და სთხოვდა, — მიჩქმიტე რაღა, მიჩქმიტეო.

ველარ გაუძლო ვასომ ამ სირცხვილს, მივარდა თავის დას,



და წამოიძახა: ელენე! ელენე, მანატე, შენი ჭირიმე!

და კვლავ ბრახნი მო- ვრია, ახლა კი თავის თავზე: წაივლო თქემ- ში ხელი და კლავა დაუწყო.

— სამბეგელი ვარ, ბრახნიანი, ჩემო კეთი- ლო ელენე, დამარტეი, მცემე, მიჩქმიტე! ღირ- სი ვარ, ღირსი! წაიღე ჩემი ჯარისკაცები, სმა- ლი, ან არა და დამარ- ტეი რამე, რომ მეც

ვიგრძნო შენგან ტკივილი! ან დამსაჯე რითმე, ჩემო ელენე!

ელენეს სახე გაუბრწყინდა და მხიარული ღიმილით გადასხდა ვახოს. — რა მოგივიდა ბიჭო? მე აღარა ვხედავთ და ისხარა და კოცნა დაუწყო თავის ბრახიან ძმას.

კოცნამ უფრო შეარცხვინა ვახო, გული ვეღარ მოიბრუნა, ტირილი მორთო, მივარდა ელენეს, იპოვნა იმის დაღურჯუბული ნახქმეტი ხელი და ზირსედ მიიკრა.


ელენე კი მეორე ხელს თავზედ უსვამდა და უაღერსებდა.

— დამშვიდდი, ჩემო ვახო! გვეოფა, დავივიწყოთ ეს სისულელე და ვრთმხეთს სიტყვა მივცეთ, რომ რაც უნდა გაკბრა სდეთ სამარცხვინოს აღარას ვიხადო.

ელენე სრულიად დამშვიდებული იყო და გრძნობდა, რომ სიუკარულით და სიმშვიდით გაიმარჯვა ბრახიან ძმასედ.

ნინო მაჭავარიანი





მამა და შვილი

(თარგმანი)



ძლიერი გრაფი ბერტრან კესლარი მკაცრი და ბოროტი აღმძინი იყო. შინაუძანი თუ ქვეშევრდომნი, სურგთ-უკან „უღუთოს“ ეძახდნენ მეტ სასულად. გრაფის ცისე დარბაზის მასლობლად ღამით გამკლელს მგზავრს სძირად ჭსმენია ღრმა მიწურიდგან გულ-შემსარავი კვნესა-წუსილი, მაგრამ ჰირჯვარი გამოუსახავს და საჩქაროდ გაჭმორებია იმ არე-მარეს...

ავი და ბოროტი იყო გრაფი, მაგრამ სავის-მოკიდებულს ჭაობშიც საამური სამძახი აღმოცენდება სოღმე სოგჯერ: მკაცრსა და

სასტიკს გრაფს კესლარს ჭეჯდა თორმეტის წლის ვაჟი შვილი ჭერბერტი,—ემაწვილი მეტად დიდ სულოვანი და ჰატიოსანი.

უოველს ღონის ძიებასა სძარობდა ჭერბერტი, რომ გრაფის საბრძლო მსხვერწლთათვის ტანჯვა როგორმე შეემსუბუქებინა.

ესმოდა სშირად ცისე დარბაზის ღრმა მიწურიდგან ჰატიმბრის
 მწარე კვნესა. შიშისაგან აცანცანებული ეურს უკდებდა იქ
 ღამობით მათს ვაებასა და გულის ლევეთ ფიქრობდა სშირად:
 ნეტა, რა სდება ამ საიდუმლო მიწურებშიო? გადასწევიტა ერთს
 საღამოს, ჩასულიყო ამ ღრმა მიწურში და გაეგო ვეულაფერი.
 მოაძსადა თან წასალებად საჭირო საგნები: ხანჯალი, გრძელი
 და ძეგარი თოკი და ჭრახი. კარგად იცოდა ჰერბერტმა, რომ
 ღრმა მიწურს სვეიდგან ჰქონდა ასანდელი კარი, რომლიდგა-
 ნაც მისვეულ-მოსვეულის გსით ძირს ჩადიოდა კიბე. ასწია
 კარები და ძირიდგან იმავ წამს ცივი და ნესტიანი, აშმორე-
 ბული ჰაერი ამოვარდა. უკუნეთს ბნელში არა სჩანდა, კიბის
 საფესურები სად იყო. ჰერბერტმა თოკის ერთი წვერი კიბის
 თავში მიაბა, მეორე თან წაიღო, ანთო ჭრახი და შეუდგა
 ნელ-ნელა ჩასულას. რამდენიც უახლოვდებოდა საპრობილესა,
 საბრალო კვნესა იმდენად უფრო მკაფიოთ ესმოდა. ასე იტანჯე-
 ბოდნენ და სშირად ისოცებოდნენ კიდევ ჰატიმბრის მიწურს
 საპრობილეში. მიღწია როგორც იყო ჰერბერტმა ვიწრო კა-
 რებსა და ათროლებულ სმით მიჰმართა ჰატიმრებს. კვნესა
 შესწედა. ჰერბერტი კვლად გამოეხმაურა. მიწურიდგან სუსტი
 სმა მოისმა:

— ვინ შეგვიბრადა?

— თქვენმა მეგობარმა, — მიუგო ემაწვილმა. — ვინა სართ,
 საბრალონო?

— გრათის კესლარის ჰატიმრები! — უპასუსა სანში შესულმა.

— გეუიცებით, გამოგისნით — დაუვირა ჰერბერტმა ჰატიმ-
 რებსა.

— მხოლოდ ღმერთს ძალუმს სვენი კვლავ სინათლესეჲდ
 გამოუვანა, — ამოიკვნესა ერთმა ტანჯულთაგანმა.

— ნუ კეშინანთ, ღმერთი მოწეალება, — მიუგო ემაწვილმა.

— გაძლევთ ჰატინანს სიტყვას, სვალ ამ დროს თავის-
 უფალნი იქნებით. ემაწვილი უკან დაბრუნდა.

ჰერბერტი მეორე დილითვე მხადებსა შეუდგა და დადამდა თუ არა და დაიძინა ვეუღამ, მაშინვე მიწურისაკენ მიუხლოვდა კარებსა, და მხიარულათ შესძახა:

— დამშვიდდით, ტანჯულნო, ავისრულებთ დანაზირს.

— ღმერთი ივეს თქვენი შემწე, — მიუგეს ჰატიძრებმა.

უმწვილი საქმეს შეუდგა: სიბრალული და მტკიცე იმედი ტანჯულთა სსნისა ძაღ-ღონეს უორკვეცებდა. დაამტვრია რკინის ჩაქებით კლიტეები და გაუღო კარები, საიდანაც ჰატიძართა გულ-საკვლავი კენესა ისმოდა. სანატიძროდან გამოვიდა ოთხი საშინლათ გამსდარი, სუსტი და გავეითლებული, აზრდილათ ქცეული ადამიანი. ორი მათგანი ასალგახდა იყო, ორი — მოხუცი. მადლობის ნიშნად გამომსსნელის წინ დაიხოქეს საცოდავებმა და დაუწვეს ფეხთა კოცნა. მაგრამ ჰერბერტმა წამოაყენა.

— ნუ, ნუ მისდით მადლობას! — შვილი მოვალეა მამის სიბოროტე გამოისეიდოს! და მეორეც, დრო ძვირად გვიღირს, აბა წავიდეთ!

წენარად და ფრთხილად ავიდნენ კიბეზედ, გაიარეს ციხე დარბაზი და კალაჯანის კარებს მიადგნენ; ჰერბერტმა კარი გაუღო და გაუშვა.

— გასწით! ღმერთი ივეს თქვენი მფარველი!

ოთხთავემ მადლობით დაჰკოცნეს და ბნელაში მიიძალნენ.

დაბრუნდა ჰერბერტი თავისს ოთახში და ფიქრს მისცა თავი: წარმოიდგინა, როგორ განურისდებოდა მამა, რომ გაიკებდა ჰატიძრების გაპარვას. წარმოიდგინა ისიც, რა საშინელი სასჯელი მოელოდა, მაგრამ გაასსენდა საბრალლო ჰატიძართა სისარული და დამშვიდდა, არ უნანია.

გავიდა საძი დღე. მეოთხე დღეს დილით, საჭურველთ უხუცესმა ჩვეულებებისამებრ მწირი საჭმელი ჩაიტანა მიწურში. მაგრამ, ვაი, მისს განცვიფრებასა, რომ შიგ აღარავინ დაჰსცდა. დაბრუნდა მაშინვე უკან, ჩაუვარდა გრაფს მუხლებში და მოჰქვა შიშისაგან გადარეულ ბოდვას...

— თქვენო ბრწყინვალეებო... მიწური საპრობილეები რიელია, ჰატომრები გაქცეულან!

— გაქცეულან? — შეჭევირა გრაფმა სასარლად, ჰბოდამ, ბე-ბერო, დაძვინი! ოჰ, ძვირად დაგისვამ ამ სუპრობას!

— თქვენო ბრწყინვალეებო, მართალს მოგასსენებთ... გა-ქცეულან.

— მართალს მომასსენებ? შეჭდრიბლა „უღვთომ“ — მამ კარგი; შენვე იქნები ჰასუსის ძეგბელი! ოჰ.. მოღაღატევი!.. სახრხობელა მბგას!

მსახურები უკვე ბრძანების ასრულებას შეუდგნენ, რომ ამ დროს შემოვიდა ჰერბერტი, კაბეღვითა და მტკიცე რწმენით შეჭხედა მამას და მოასსენა:

— მამო, ეკ არ არის დამნაშავე. მე კავთავისუფლე... და დამნაშავეც მარტო მე ვარ.

გრძფი სიბრზისიან გან მთლად გაფითრდა და აკანკალებულმა ხელი სძალსჯდ იტაცა; მავრამ შეიმავრა თავი და მძიმედ წარმოსთქვა: — კარგი, მამ, შენ დაიჭერ იმათს ადგილს. მავრამ ვერა ჰბეღავდნენ მსახურები ხელის სლებასა; უმაწვილი ეველანს უვეარდა.

— ჩამძწედიეთ საროძი! — გაიმეორა გრაფმა შემსარზვის სძით. უმაწვილი წაიუვანეს.

ამვე დროს განთავისუფლებული ჰატომრები მივიდნენ ძევე ლუი IX-თან და უამბეს უოველივე. ლუიმ კარდასწვერიტა „უღვთო“ სასატკად დაესაჯა, უმაწვილი-კი დაესანუქრებინა დიდსულოვნობისთვის; შეავროვა მამაცი რაინდები და გასწია გრძფის სამფლობელოსაკენ.

— ძევე მობრძანდა! — მოასსენეს კარის კაცებმა გრძფსა. შემფოთებულმა გრძფმა უბრძანა მამინვე ხიდი აუმაართათ და თითონაც გასწია ძეფის მისაკებებლად. მავრამ, დახუთ უბედუ-რობასა, ძეფის მსლებელთა შორის დაინანა ნაცნობი სახე

გათავისუფლებულთა და მაშინვე გაუკითხდა, აირია. შემოიკრიბა მანც მთლად თავისი ძალა და სცდილობდა დამშვიდებულად სჩვენებოდა მეფესა.

— სად არის შენი შვილი? დაეკითხა მეფე. ბერტრანმა პასუხი ვერ მისცა.

— იცოდე, თუ მოგიკლავს, სასტიკათ დაგსჯი.

— გასინჯონ, მეფე, მიწური სანურობილები, — მოასსენა ერთმა გათავისუფლებულთაგანმა, — იქ ევოლება დამწვევდელი.

— გასწით, მონახეთ საჩქაროდ! — უბრძანა მეფემ.

— ვფიცამ, ძვირფასად დაუხვამ ამ საზიზღარს მაკს მინელს ბოროტებას!

სუთი კაცი მაშინვე ბავშვის საძებნელად წავიდა, რომელთაც წინ მოსუცი საჭურველთ-უსუცესი გაუძღვა. რამდენიმე წამის შემდეგ დაბრუნდნენ და თან მოიყვანეს ჰერბერტი, გაუვითლებული, ტანჯული, რომელიც ძლივსლა იდგა ფეხზედ.

დიდ სულოვანმა ბავშვმა, მაშინვე დაიჩოქა მეფის წინ:

— თქვენო უდიდებულესობავ, ნუ გასწირავთ მამაჩემსა! ვიცი, გაგარისნათ, მაგრამ გთხოვთ აპატიოთ!

— სამართალი გამოარკვევს ვეულაფერს, — სთქვა სასტიკად მეფემ. ბოროტი და მტანჯველი უდანაშაულოთ უნდა სასტიკად დაისჯოს.

მაშინ ჰერბერტმა თხოვნით მიჰმართა გათავისუფლებულს:

— თქვენა, — დაიწყო ღონე-მისდილმა ჰერბერტმა,

— ნუთუ თქვენ-კი არ შეიწუნარებთ ჩემს თხოვნას და არ აპატიებთ მამაჩემს?..


დაიჩოქა ოთხივემ მეფის წინ.

— თქვენო უდიდებულესობავ, — მოასსენა უფრო სნიერმა. მოწუბლება და გულკეთილება ბავშვისა ჩვენთვის მაგალითად უნდა იყოს. აკი ქრისტეც მაგას გვასწავლის: „მოგვიტყვე ცოდვანი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტყვევებთ თანამედებთა მათ ჩვენთა“.

— ალბად ღვთის ნებაა უოველივე, სთქვა ძეფემ. მიპატრონია და დამივიწყებია უოველივე მაგისი ბოროტება. ჭერბერტი მამას მიუბრუნდა. მისს უკმესსა და სასტიკსს სასესედ რაღაცა ღმობიერება ისატებოდა. თვალსედ ცრემლი მოსდგომოდა. გადაესვია ჭერბერტი მამასა და „უღვთომ“ იტირბ. მაგრამ ჰირველი იყო მისთვის ეს ბედნიერება.

ანტა.





ჰერკულესი ამავე

გერმანულიდან

(იხ. „ნაკადული“ № 17)



რთი საქმე დარჩა კიდევ ჰერკულესს შესასრულე-
ბელი და ამის შემდეგ მეფე ევრისტოფოსი მას ვე-
რას დააკისრებდა: ქვესკნელიდან შესასარი ძაღლი
კერბეროსი უნდა ამოეყვანა.

ჰერკულესი ტენაროსის მთაზე ავიდა: აქ
იწუებოდა დიდი სვრელი, რომელიც ქვესკნელამდე
მიდიოდა. ჰერკულესი შევიდა ამ სვრელში, და სულ ძირ-ძირს
მიდიოდა სანამ მდ. სტიქსამდე არ მივიდა. ეს მდინარე გარს
უკლიდა ქვესკნელს, სადაც ღმერთი პლუტონი იყო მეფედ.
მდინარეზედ სიდი არ იყო და, ვისაც ქვესკნელში უნდოდა
მისვლა, მენავე სარონს უნდა გადაეყვანა თავის ნაგში. სა-
რონმა რომ ჰერკულესი დაინახა, არ უნდოდა მისი გადაევა-
ნა, — მძიმე ხარ, ნავი ჩაიძირებაო, მაგრამ ბოლოს უარის
თქმა ვერ გაბედა და გადაიყვანა ქვესკნელში. კარებთან ის
საძინელი ძაღლი კერბეროსი იყო დარაჯად და ვინც კი
ახლოს გაბედავდა მისვლას, ეველას ლუკმა-ლუკმა გლეჯდა,

მაგრამ ჰერგულესი რომ დაინახა, შიშისაგან დამული დაიწყო და ღმერთ ზღუტონის ტახტის ქვეშ დაიძვლა.

ზღუტონმა და მისმა ცოლმა ზერსეფონამ დიდის სიყვარულით მიიღეს საბერძნეთის სახელგანთი გმირი და ნება მისცეს კერბეროსის წაუყვანისა, იმ ჰირობით კი, რომ შემდეგ ისევე უნდა მოეყვანა უკან. კერბეროსი სიდიდით სწოლოს ოდენა იყო, სამი თავი ჰქონდა, სქელის ფაფრით დაფარული, ეს ფაფარიც და კუდიც სულ ცოცხალ გველებინა იყო. ჰერგულესმა თავის რკინის ჰერანგი ჩაიცვა, ჰეფესტოსმა რომ აჩუქა, ლომის ტვაფი შემოიხვია, კერბეროსს ხელში-ხელი სტაცა, ზურგზე მოიგდო და წამოვიდა. დიდი გველი, რომელიც კუდათ ჰქონდა ქვესკნელის ძაღლს, ჰებუნდა ჰერგულესს, მაგრამ ეს ურადლებას არ აქცევდა და ზევით ამოიუყანა. კერბეროსმა რომ დღის სინათლე დაინახა, სულ გაბეჭდა და ჰირიდან ცოფი მოდიოდა; სადაც ცოფი დაეცა, მსამიანი ბაღასი ამოვიდა და ვინც ამ ბაღასს შესჭამდა, სიცოცხლეს უნდა გამოსაღებოდა. მეფე ვერისთოსმა რომ კერბეროსი დაინახა, შიშით სადღაც მიიძვლა. ჰერგულესმა უკანვე წაიუყანა კერბეროსი და მდ. სტიქსთან რომ მოვიდა, მენაჟე სარონს გადასცა ქვესკნელში მისაუყვანად.

შესწრულა ჰერგულესმა თორმეტი დიდი საქმე და ესლა იგი თავისუფალი იყო, მაგრამ ტკბილი ცხოვრება არც შემდეგ ჰქონებია: მთელი თავისი სიცოცხლე ავსა და ბორბტ ხალხს დევნიდა და დახაკრულებს შველოდა. მამა დაჰპირდა ჰერგულესს—თუ შენ გულფიცხობას მოერევი და ცუდს არავის შეამთხვევი, ჩემთან ოლიმპსე ამოგიუყან და ბედნიერ ცხოვრებას მოგანიჭებო.

სამსახური რომ ვაბთავა მეფე ვერისთეოსთან, ჭერკულესს ადვილად შეეძლო ეს ბოროტი მეფე დაესაჯა და თავის წყაღუბისათვის სამაგიერო გადაესადა, მაგრამ თავის გულს მოერიდა და ვერისთეოსისათვის არა უქნია რა.

გაქცეულა: 44, 46, 71





ხერხი სჯობიან ღონესა



არღუ-ძლიერმა ბიანსანტიის იმპერიტორთან ერთი თავისი დიდებულთაგანი, ადალ-ჭარდი, ვაგ საფხა ელჩად.

იმპერატორმა ღირსეულად მიიღო ელჩი და სადილად მიიწვია, — საქმესვედ შემდეგაც მოვილბაზარაკებთო.

სადილად სსუბათ შორის ცოცხალი თევზი მიართვეს. ჩვეულებად თურქე ჭქონდათ კონსტანტინოპოლის სასახლეში ვინც რა ნაჭერს შეესებოდა თავის ჩანგლთ, კიდევ უნდა აელო; თუ არა და მოჭკლავდნენ.

ამ ჩვეულებისა არა იცოდა რა ადალ-ჭარდმა, ატაკა ჩანგალი ერთს ნაჭერს, ვადაბრუნა, არ მოეწონა და სსვა აიღო.

წამოიძლნენ უცბად ბიანსანტიელი დიდებულნი და ვვირილი მორთეს:

— სიკვდილი უსრდელს! სიკვდილი!

მეტად შესწუსდა იმპერატორი: ელჩის მოკვლაც ეძელებოდა, ჩვეულების დარღვევაც.

— ვწუსარ, ბ-ტონო უცხოელო, მავრამ რაჟენა, რომ ჩვეულებისა და ჩემს დიდებულთ ვერ ვუძტუენებ? უნდა მოკვდე... მავრამ, ვფიცავ, სიცოცხლის ვარდა რაც ვნებას მთხოვე და მოგანიჭებ, უბრძანა მწუსარე ხელმწიფემ.

— სიკვდილისა მსდართ ემინანთ, სელმწიფუო, მოახსენა მძვიდად ადალ-ჭარდმა, — მე მზად განლაჲართ... ოღონდ, რაკი აღმითქვით, კოსოუთ ჯერ თვალები დასთხაროთ უკელას, ვინც ჩემი შეცდომა დაინახა და მერმე მე მომაკვლევინოთ.

— უფიცავ, დაიძახა აღელვებულმა იმპერატორმა, რომ ჰირად მე არა დამინახავს რა და, თუ გსჯვი, ამ დიდებულთა სიტყვით გსჯვი. თქვენ დედოფალო? თქვენ დაინახეთ ბატონის ვლჩის საქციელი? — არა, სელმწიფუო!.. მე ამ ქალებს ვვლახარაკებოდი და, სძაურობა რომ ატედა, მამინ მოვიხედე.

— თქვენა ბიძახემო?

— ზღვას გავცქეროდი, სელმწიფუო, საგვირველი სანახავია მზის ჩასვლისას ჩვენი მშვენიერი ზღვა და აქ, სუფრაზედ, არა დამინახავს რა.

რადღა გავაგრძელოთ, სუფრაზედ მყოფთ არავის ენ დომებოდა, რასაკვირველია, დაბრძალება და უკვლანი ერთსმივე ამბობდნენ, არა დაგვინახავს რაო.

გადარჩა მოხერხებული ელჩი სიკვდილს, სასურველად დაბოლოვა კარლეს მიერ დაგალებული მინდობილობა და გამბრჯვებული გაუღვა გზას.

X.





ძაღლის მოსაზრება.

წოთი კატა ისე კაწუწკდა, რომ ქვის ქვეშ აღარას უშვებდა, ჰატრონი მოთმინებიდამ გამოიყვანა მისმა სიწუწკემ და, რომ თავიდან მოეშორებინა, ჩასვა ძველ ჰარკში და წაიყვანა მდინარეში გადასაგდებად.

ძაღლმა რომ ეს დაინახა, ჰატრონს უკან დაედევნა სასა-რელი წკმუტუნით; იგრძნო და სწუხდა კატის უბედურებას. ჰატრონმა ჯავრობა დაუწყო, რომ თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ძაღლი არ შორდებოდა.

მივიდა კაცი მდინარესთან და კატა ღურღუქელ წყალში გადაისროლა. ძაღლი იმ წამსვე მდინარეში გადაეშვა, ჰარკს ჰირი მოაჯლო და კატა ნაპირას გამოიყვანა.

გაჯავრებულმა ჰატრონმა სელმეორედ გადააგდო კატა წყალში; ძაღლი მეორედაც გამოუდგა დასასხსნელათ, მაგრამ ესლა სულ სსვანაირად მოიქცა: ჰარკი მდინარის მეორე მხარეს გაათრია და ნაპირზე დააგდო.

გამოიარა მესამეჯრამ და ჰარკს ჰირი მოსხნა, მიძისაგან გულგანუთილი კატა დაფუთიანებული ამოსტა ჰარკიდან და თავ ჰირის მტვრევით მოჭკურცხლა.

ასე დაისხნა ძაღლმა თავისი მეგობარი სიკვდილისაგან.

თ. კანდელაკი.





თ ე ვ ზ ა რ ბ ა

ამ თამაშობისათვის საჭიროა მოგროო კანაფი, რომელსაც ცაღო წვერში უულფი აქვს გაკეთებული. თავისუფალი წვერი უულფშია გაურილი და ერთ ბავშვს მეთევზეს უჭირავს.

დანარჩენებს მარჯვენა ხელის სალოკი თითო აქვთ ჩაუფილი თოკისაგან გაკეთებულს წრეში და თან იძახიან:

გეები დიდო და ჰატარა.

გეები დიდო და ჰატარა.

უცბათ მეთევზე დაიძახებს: „გეებს!“ და ასწევს მძლავრ კანაფის წვერს. ამ დროს ეველამ მარდათ უნდა ამოიღოს თითი. თუ რომელსაჲე მოთამაშეს მოჭევა თითი კანაფის ნახკეში ის განდება მეთევზეთ და დანიწობენ თამაშს თავიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მეთევზეთ იკვივ რჩება.

ბ ა მ რ ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი თ. კანდელაკის მიერ)

თოთხმტი დღე შეფობდა, მეთსუთმეტეს აუად კახდა, ოცდა მურვეს მოკვდა და ისევ გაცოცხლდა.

ჩახტა ჩახანი,

ჩაჭევა თან ჯარი.

მივსედე, მანაც მომსყდა

და გული გაშინათლაო;

მე ვკითხე იმის ამბავი,

არ მითხრა, დაშიძალაო.

ხალხური ლექსები

(ჩაწერილი დ. ნ.—შვილის მიერ).




ნათლია ჩემი ძეწვია,
 ჯიბეში ეღო ეარეზარა,
 ერთი ქათამი დაუკვამლ,
 კუდა იყო და ნაცარა,
 სულ ერთიან გაუკეთე
 ერთი ჰატარა ჩაღსანა,
 ათი ჩურჩხელა მიუბრთვი,
 ერთი ფიცარი თათარა,
 ისე შეჭამა ისინი,
 წვერი არ გადაცანცარა.
 —რაც შენ ნათლიად გიმოვე,
 სახლში აღარა შეძრნა რა,

სამჯერ რომ მე დაგპატიე,
 რატომ შენ ერთსეულ აღარა!

—
 ეო, ძეო, აქეთ მომხედეო,
 ძთვარევე ნათელიო, ცხოველო,
 რისთვის დამხაგრეო,
 ძარგალიტის კლიტე კთხოვე,
 კვიან შეიტეეო,
 ასე გითქვამს, აღარ მივცემ,
 ასა ვაგლახ ძეო!
 სელსახსოცი ამოიღე,
 ცრემლი შეძამრეო.

რ ე ბ უ ს ი



რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

